ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N248

ქ. თბილისი 08.10.2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს იმედი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ია იმედაძის მინდობილი პირის პავლე მაღლაკელიძის სახით (პირადი #09001001107) მოქმედი 2018 წლის 03 სექტემბერს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №181051192, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 21524390555418 (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT180014140** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (CPV - 45400000).

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **16`023** ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - შემსყიდველის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ბეჟან მესხი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ნუგზარ ბარელაძე.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოების მიღება-ჩაბარება წარმოებსსამუშაოების დასრულების შემდგომ ორმხრივად ხელმოწერილი ფორმა#2-ის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების შემთხვევაში - ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გათვალისწინებით. ფორმა #2 წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს სამუშაოების შესრულებას და რომელიც შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერილია 5.1 პუნქტში აღნიშნული პირ(ებ)ის მიერ.

6.2 მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ხელისმოწერით მოწმდება წარმოდგენილი ფორმა#2-ის/ების საფუძველზე და მათზე სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

6.2.1 იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზისთვის წარდგენილი ფორმა#2 (ების) მიხედვით შედგენილი (წარმოდგენილი)ექსპერტიზის დასკვნა გულისხმობს ფორმა #2 (ების) კორექტირებას, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი საბოლოო მიღება-ჩაბარების საფუძველს წარმოადგენს კორექტირებული ფორმა#2 (ები). ასეთ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ფაქტიური მოცულობა და ჯეროვნება დადგინდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე კორექტირებული ფორმა #2 შესაბამისად.

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს აწერს შემსყიდველის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი

6.4. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

7. სამუშაოს შესრულების პირობები და გარანტია

7.1 სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღე. ვინაიდან შესრულების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, შესრულება გადაიწევს პირველივე სამუშაო დღეზე.

7.2 სამუშაოების შესრულების ადგილი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის №32;

7.3 საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან: სახურავზე - 10 წელი, დანარჩენ სამუშაოებზე: 2 წელი. საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მხრიდან ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ხარვეზის, გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას, სამუშაოების სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრულ ვადაში.

7.4 დრო, რომელიც ესაჭიროება შემსყიდველს ექსპერტიზის განსახორციელებლად არ ჩაითლვება სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადებში (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი). ამასთან ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის/შეუსრულებლობის დადგენის შემთხვევაში, ექსპერტიზის მიმდინარეობის ვადა მიეთვლება ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას და მთელ პერიოდზე დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02% ოდენობით თითოეულ დღეზე. ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, გამოსწორებულ ხარვეზზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი (ექსპერტიზა ჩატარებული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ). სამუშო გამოსწორებული უნდა იყოს სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.5 ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა გავლენას არ ახდენს მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებებზე;

7.6 პრეტენდენტი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს იმგვარად, რომ არ შეფერხდეს სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება;

7.7 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ობიექტზე მომუშავე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების წესები. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა. სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად და დასრულების შემდეგ ნარჩენების გატანას და ტერიტორიის დასუფთავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით, სამშენებლო ნაგავი შენობიდან გატანილ უნდა იქნას ყოველდღიურად, ახალი სამუშაო დღის დაწყებამდე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.3. დაფინანსების წყარო: 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.4. შესრულებული სამუშაოების 80% მიმწოდებელს აუნაზღაურდება მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე ფორმა #2-ის შემსყიდველისათვის წარდგენის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. შესრულებული სამუშაოების (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი) ჯამური ღირებულების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) დადებითი დასკვნის, მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების გადასინჯა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ

შესრულების შეფერხება გაგრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.
12.2. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.3. სამუშოების შესრულების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02% ოდენობით, თითოეული დღისთვის. ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს გაფრთხილებით და განუსაზღვრავს შესაბამის სამუშაოების დასრულებისთვის გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.
12.4. ამ მუხლის 12.3. პირობის დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს უკვე შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო ექსპერტიზის განხორციელება. უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, პირგასამტეხლოს თანხის გამოკლებით, მიმწოდებელს აუნაზღაურდება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემდეგ. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.
12.5. თუ დაყოვნება ან ვადის გადაცილება არ არის დამოკიდებული მიმწოდებლის განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, ან გამოწვეულია შემსყიდველის მიერ, პირგასამტეხლო არ გამოიყენება.
12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ს/კ 203860642	შპს იმედი მის.: ქ.ქუთაისი, ფიროსმანის ქ. N12 ს/კ 412717715 საქართველოს ბანკი, კოდი: BAGAGE22 ა/ა:GE07BG0000000664618300
გიორგი კაკაურიძე თავმჯდომარის მოადგილე	პავლე მაღლაკელიძე მინდობილი პირი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში მდებარე საგუშაგოს სახურავის, ოთახებისა და სასამართლოს შენობის მე-2 სართულის ფლიგელში არსებული იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტი

	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქ-მექან		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
					სახურავი					
1	სახურავზე არსებული თუნუქის ფენილის დემონტაჟი	კვ.მ.	78,00		0,00	2,00	156,00		0,00	156,00
2	პარაპეტის დემონტაჟი	კბ.მ.	3,24		0,00	50,00	162,00		0,00	162,00
3	წყალგამტარი მილების დემონტაჟი	გრძ.მ	8,20		0,00	2,00	16,40		0,00	16,40
4	წყალმიმღები ძაბრების დემონტაჟი	ცალი	2,00		0,00	10,00	20,00		0,00	20,00
5	კედლის დაზიანებული ზედაპირის ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	კვ.მ.	3,60	3,00	10,80	5,00	18,00		0,00	28,80
6	შელესილი ზედაპირის დაშხეფვა და შეღებვა ფასადის საღებავით (ფერი არსებულის მსგავსი)	კვ.მ.	3,60	3,00	10,80	5,00	18,00		0,00	28,80
7	ხის კონსტრუქციის მოწყობა (ანტისეპტირება ცეცხლდაცვა ჩათვლით)	კბ.მ.	1,20	500,00	600,00	50,00	60,00		0,00	660,00
8	სახურავის მოწყობა პროფილირებული (ფერადი) თუნუქის ფურცლით, ღარის სიმაღლე არანაკლებ 57 მმ.	კვ.მ.	82,00	15,00	1230,00	4,00	328,00		0,00	1558,00
9	სახურავის გვერდების შეფუთვა (ფერადი) ლითონის ფურცლით	კვ.მ.	10,80	13,00	140,40	4,00	43,20		0,00	183,60
10	წყალშემკრები ღარის მოწყობა (ფერადი) თუნუქის ფურცლით	მეტრი	9,10	4,00	36,40	5,00	45,50		0,00	81,90
11	წყალგამტარი მილის მოწყობა (ფერადი) თუნუქის ფურცლით	მეტრი	7,40	4,26	31,50	5,00	37,00		0,00	68,50
12	წყალმიმღები ძაბრების მოწყობა (ფერადი) თუნუქის ფურცლით	ცალი	2,00	10,00	20,00	10,00	20,00		0,00	40,00
13	წყალგამტარი მუხლის მოწყობა (ფერადი) თუნუქის ფურცლით	ცალი	2,00	6,00	12,00	5,00	10,00		0,00	22,00
	ჯამი 1				2091,90		934,10		0,00	**3026,00**
					საგუშაგო					
14	არსებული ვიტრაჟების დემონტაჟი	კვ.მ.	2,00		0,00	5,00	10,00		0,00	10,00
15	ხის კარის დემონტაჟი	კვ.მ.	3,20		0,00	3,00	9,60		0,00	9,60
16	ლამინირებული იატაკის დემონტაჟი	კვ.მ.	11,66		0,00	2,00	23,32		0,00	23,32
17	იატაკიდან ბეტონის ფილების დემონტაჟი	კვ.მ.	37,06		0,00	3,00	111,18		0,00	111,18
18	კარის და ფანჯრის ღიობის ამოშენება სამშენებლო ბლოკით	კბ.მ.	0,77	65,00	50,05	30,00	23,10		0,00	73,15
19	მეტალოპლასტმასის ვიტრაჟის მოწყობა	კვ.მ.	2,00	90,00	180,00	20,00	40,00		0,00	220,00
20	მეტალოპლასტმასის რაფის მოწყობა	კვ.მ.	0,38	30,00	11,40	10,00	3,80		0,00	15,20
21	მდფ-ის კარის მოწყობა (სრული კოპლექტი)	კვ.მ.	4,25	140,00	595,00	20,00	85,00		0,00	680,00

GEORGIA LTD „IMEDI" 412717715

22	ლამინირებული იატაკის (ნესტგამძლე, სისქე 10მმ, 33-34 კლასი) მოწყობა პლინტუსების გათვალისწინებით	კვ.მ.	11,66	18,00	209,88	3,00	34,98		0,00	244,86
23	5 სმ სისქის მჭიმის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	კვ.მ.	53,00	8,00	424,00	6,00	318,00		0,00	742,00
24	იატაკზე კერამოგრანიტის (ხაოიანი) ფილების მოწყობა	კვ.მ.	66,00	15,00	990,00	9,00	594,00		0,00	1584,00
25	ჭერის დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალემულსიური საღებავით სრულ დაფარვამდე	კვ.მ.	58,72	4,00	234,88	5,00	293,60		0,00	528,48
26	კედლების დამუშავება (კარ-ფანჯრების ფერდილების ჩათვლით) ფითხით და შეღებვა წყალემულსიური საღებავით სრულ დაფარვამდე	კვ.მ.	197,81	3,00	593,43	4,00	791,24		0,00	1384,67
27	საინფორმაციო აბრა, ზომით არანაკლებ 55X55 სმ. (ვიზუალი შეთანხმებით)	ცალი	2,00	100,00	200,00		0,00		0,00	200,00
28	ტერიტორიის დასუფთავება და გატანა ნაგავსაყრელზე	ტ	10,00		0,00		0,00	10,00	100,00	100,00
	ჯამი 2				3488,64		2337,82		100,00	5926,46
	მე-2 სართულის ფლიგელი									
29	ხის პლინტუსების დემონტაჟი და შემდგომი მონტაჟი	გრძ.მ	128,00		0,00	1,00	128,00		0,00	128,00
30	პარკეტის იატაკის დაზიანებული ადგილების აღდგენა	კვ.მ.	15,00	20,00	300,00	5,00	75,00		0,00	375,00
31	პარკეტის იატაკის მოხვეწა და 3 ფენა ლაქის გასმა	კვ.მ.	160,00	4,00	640,00	6,00	960,00		0,00	1600,00
32	ლამინირებული იატაკის (ნესტგამძლე, სისქე 10მმ, 33-34 კლასი) მოწყობა პლინტუსების გათვალისწინებით	კვ.მ.	16,60	18,00	298,80	3,00	49,80		0,00	348,60
	ჯამი 3				1238,80		1212,80		0,00	2451,60
	ჯამი 1+2+3									11404,06
	ზედნადები ხარჯები	8%								912,32
	ჯამი									12316,38
	გეგმიური მოგება	5%								615,82
	ჯამი									12932,20
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	5%								646,61
	ჯამი									13578,81
	დღგ	18%								2444,19
	სულ ჯამი:									16023,00

412717715 GEORGIA LTD „IMEDI"

412717715 GEORGIA LTD „IMEDI"

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21524390555418

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181051192

რეგისტრაციის თარიღი

03.09.2018 წ

ნოტარიუსი: მაყვალა შვანგირაძე
მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №116 ბინ.14
ტელეფონი: 599 74 39 42 სამსახური:(8431)2 7 99 21

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას თვრამეტი წლის სამ სექტემბერს მე, ნოტარიუს მაყვალა შვანგირაძეს, ჩემს სანოტარო ბიურო
რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №116 , ბ.14 მომმართა ია იმედაძემ, რომელ
განაცხადა რომ არის "შპს იმედი", საიდენტიფიკაციო კოდი №412717715, მესაკუთრე, დირექტორი და 100% წილ
მფლობელი, წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არასამეწარმეო) იურიდიული პირებ
რეესტრიდან:განაცხადის რეგისტრაციის ნომერი BN№18013195, ამონაწერის მომზადების თარიღი:08/02/2018 10:05
და მოითხოვა პავლე მაღლაკელიძის სახელზე მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.
მე დავადგინე ია იმედაძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და სს
სამოქალაქო რეესტრის ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად
იმედაძემ(დაბადებული 04.07.1962 წელს, პირადი№60001033488, პასპორტი №12AA26283 გაცემული 15.05.2015 წელ
რეგისტრირებული მისამართზე:ქუთაისის, ფიროსმანის 12, ტელ:579106517) მომმართა.
მე შევამოწმე ია იმედაძის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველ
არ არსებობს. მე დავადგინე ია იმედაძის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტ
რომელიც წავუკითხე ია იმედაძეს, განვუმარტე მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მა
შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ა
მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.
ია იმედაძემ პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ იგი ზუსტად
გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:
ორიათას თვრამეტი წლის სამ სექტემბერს მე, „შპს იმედი"-ს, საიდენტიფიკაციო კოდი №412717715
დირექტორი ია იმედაძე(დაბადებული 04.07.1962 წელს, პირადი №60001033488) ვანდობ პავლე მაღლაკელიძეს
(დაბადებული 03.03.1970 წელს, პირადი №09001001107, რეგისტრირებული მისამართზე: ქუთაისი, ნიკეას მე-2 შეს №6,
ბ.21) რათა მან კანონით და საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით წარმოადგინოს „ შპს იმედი''-ს ინტერესები
ყველა კერძო და საჯარო დაწესებულებებში, იურიდიული და ფიზიკური პირებთან, ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, გამგეობაში, საკრებულოში, მიიღოს
მონაწილეობა ტენდრებში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, მოიპოვოს(გამოითხოვოს)ნებისმიერი სახისა და
შინაარსის დოკუმენტი, აიღოს ცნობები, ამონაწერები, მოწმობები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია წარადგინოს
მოთხოვნის ადგილზე, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადები, წარმოადგინოს ინტერესები საქართველოს
ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციები, მათ შორის თანხის შეტანა,
გამოტანა, გადარიცხვა, გადმორიცხვა, კონვერტაცია, ნებისმიერი პერიოდის ამონაწერის მიღება, ინფორმაციის მიღება,
ანგარიშების გახსნა, დახურვა, ბანკში არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა, ნებისმიერი ხელშეკრულების
დადება, ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა, შესაბამისად წარადგინოს განცხადებები და დოკუმენტაცია,
ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, ცვლილებას ხელშეკრულებაში, წარადგნოს განცხადებები,
გადაიხადოს ყველა გადასახადები და გადასახდელები, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება
დაკავშირებული ამ დავალებასთან.
პავლე მაღლაკელიძეს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები არ შეუძლია გადასცეს სხვა პირს.
მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
მე, ია იმედაძე, ''შპს იმედი"-ს , საიდენტიფიკაციო №412717715 ერთპიროვნული დამფუძნებელი, დირექტორი და
100%წილის თანახმა ვარ გაიცეს ეს მინდობილობა პავლე მაღლაკელიძის სახელზე.
მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი
გადაეცა მარწმუნებელს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მაყვალა შვანგირაძის სანოტარო არქივში, რომელსაც თან
ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არასამეწარმეო) იურიდიული პირების რეესტრიდან:განაცხადის
რეგისტრაციის ნომერი BN№18013195, ამონაწერის მომზადების თარიღი:08/02/2018 10:05:44
ია იმედაძემ გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური 10(ათი) ლარი29.12.2011წლის საქართველოს მთავრობის #507
დადგენილების ''სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა
პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის,მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების
დამტკიცების შესახებ'' 31-ე მუხლის თანახმად და 2(ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად,
სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური , სულ გადაიხადა 12(თორმეტი)ლარი

მინდობილობის გამცემი: ''შპს იმედი"-ს დირექტორი:ია იმედაძე----------ია იმედაძე----------

ნოტარიუსი მაყვალა შვანგირაძე